სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 89

ქ.ზუგდიდი *18 დეკემბერი 2017 წელი.*

ერთი მხრივ, *ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვიტარების ცენტრი*'' (შემდგომი ,,შემსყიდველი''), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დავით კვაშილავას სახით და მეორეს მხრივ, *შ.პ.ს „პილოტი 2014"* (,,შემდგომი მიმწოდებელი '') მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ნანული ჩემინავას სახით, ორივე ერთად წოდებული _მხარეები,"სახელმწოფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტვიებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" გათვალისწინებით,ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდომში,ხელშეკრულების ტექსტში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშკრულებაში გამყენებულ ტერმინებს აქვთ შემდგები მნიშვნელობა:

ა) „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" - შემსყიდველ ორგანიზაციისა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეტა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები
ბ) „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
გ) „შემსყიდველი ორგანიზაცია" ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
დ) „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს რომელიც ახორციელებს სამუშაოს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული „ დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის გნვითარების ცენტრის 2017 წლის ბიუჯეტის (სუფსიდია) სახსრებით, ,,შემსყიდვლის'' მიერ ,,მიმწოდებლისგან'' **საკანცელარიო საქონლის** (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში _ შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა (CPV კოდი 30197630 ქს. ქაღალდი CPV კოდი 22852100 ფაილები, CPV კოდი 30196200 ჩასანიშნი ფურცლები , CPV კოდი 30190000 ფერადი სტიკერები, CPV 39292400 საწერ კალმები, CPV 44424200 დიდი სკოჩი , CPV 30192160 კორექტორი , CPV 30124400 სტეპლერის ტყვია , CPV 37300000 სასტვენი.), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" **ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,** წინამდებარე ხელშეკრულების დანარტის შესაბამისად.

1.1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, სახეობები (ჩამონათვალი), მოცულობა და ღირებულება გათვალისწინებულია დანართში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ,,შესყიდვის ობიექტის'' მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, ფასების ცხრილის (დანართი #1) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით შეადგენს **150 (ასი ორმოცდაათი)** ლარს (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში_ხელშეკრულების ღირებულება).
2.2. საქონლის რაოდენობები საორიენტაციოა და შემსყიდველს არ ეკისრება ვალდებულება შეისყიდოს საქონლის რაოდენობები რაც მითითებულია ფასთა ცხრილში.

3. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1. „ მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტი უნაკლოა.
3.2. პროდუქცია უნდა შეესაბამოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სტანდარტებს.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები**

4.1. ,,შესყიდვის ობიექტის'' მიწოდება ,,მიმწოდებლის''მიერ განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 2017 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. ,,შესყიდვის ობიექტის'' მიწოდების პალარელურად, ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია უზრუნელყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა ,, შემსყიდველისთვის''(საგადასახადო აგნარის-ფაკტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

5. **მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. ,,შესყიდვის ობიექტი'' ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის(ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღების აქტი) გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს, მიიღოს შესყიდვის ობიექტი და გაუგზავნოს ან გადასცეს მიმწოდებელს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლიარი, ან წერილობითი მოტივირებული უარი შესყიდვის ობიექტის მიღებასა და აქტის ხელმოწერაზე, დაწუნებული შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
5.3. შემსიყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე მოტივირებული უარის შემთხვევაში, მხარეები ადგენენ აქტს, გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ (დეფექტური აქტი). შემსყიდველის მიერ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ყველა წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, შესყიდვის ობიექტის მიღება ხორციელდება ხელშეკრულების წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით.
5.5. ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6. **ანგარიშსწორების ფორმა და წესი**

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.
6.2. ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

7. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. *<u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>*

7.1.1. უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის მიღება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

7.2. *<u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>*

7.2.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.
7.2.2. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდგომ, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის შემოწმება, ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
7.2.3. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

7.3. *<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>*

7.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

7.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტ(ებ)ი.

7.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

7.3.4. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს იმ მოსალოდნელ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე.

7.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

7.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს, შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.4. *<u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>*

7.4.1. შემსყიდველისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

8. უფლებების გადაცემა

8.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთ წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პასუხისმგებლობა)

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

13.2. მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 % -ს ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა.

13.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ, რის გამოც შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაურს შემსყიდველს აღნიშნული ზიანი, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.6. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13.7. შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებლო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე,დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

13.8. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.9. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად სეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობებების ამოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინებების შემდეგ:

14.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

14.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუზლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

14.1.3 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.4 მიმწოდებლის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემტხვევაში;

14.1.5 ტუ მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%ს;

14.1.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემტხვევებში;

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.4. ამ მუხლის 13.1 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

14.5. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

15.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

15.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

15.7. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

17.1. ხელშეკრულების კონტროლის, მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისა და მირება-ჩაბარების აქტ(ები)ის გაფორმებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში მიმწოდებელტან ითანამშრომლებს შემსყიდველის მიერ ამისათვის გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

ა) დემეტრე მარღანია - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვიტარების ცენტრის სამეურნეო საქმეთა მმართველი;

ბ) ნუკრია ბაკარანძე - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვიტარების ცენტრის სამეურნეო საქმეტა სპეციალისტი;

გ) გიორგი პერტაია - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის სპეციალისტი.

დ) ზაზა ფაცაცია - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვიტარების ცენტრის სპეციალისტი.

17.2. ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილი, რათა განსაზღვრონ მათი შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნასთან.

17.3. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით,ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

17.4. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებისას გამოვლინდა წუნი ან/და ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყს კონტროლის (ინსპექტირების) სედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

17.5. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ მომსახურების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

18. დასკვნითი დებულებანი

18.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

18.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის,სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისთვის.

18.3. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან/და დამატებების სეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუზველზე,წერილობითი გაფორმების შედეგად.

18.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

18.5. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარცენი პუნქტების გაუქმებას.

18.6. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმუნობის ან უზუსტობების შეთხვევაში იურიდიული ძალის არმქონეა

18.7. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრტხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის სედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.8. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 18 თებერველია ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების 13.2, 13.3, 13.4, 13.5, 13.6, 13.7, 13.8, 13.9 პუნქტებით განსაზღვრული პირობებისა, რომლებიც ძალაშია ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.

18.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლიარა, 1 (ერთი) ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველტან, ხოლო ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებლს.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი

მისამართი ქ.ზუგდიდი რუსთაველის ქუჩა **№79**

საინდენტიფიკაციო კოდი: ***419998033***

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგ.#74971

დირექტორი

.... /დ.კვაშილავა/

მიმწოდებელი

შპს „პილოტი 2014“

საინდეპიკაციო კოდი: 419990843

იურიდიული მისამართი: ქ.ზუგდიდი,რუსთაველის 92

საბანკო რეკვიზიტები: სს,,ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი:LBRTGE22

ანგ:GE27LB0113153709521000

დირექტორი

.... /ნ.ჩემინავა/

ხარჯთაღრიცხვა

დანართი№1

№	დასახელება	CPV-კოდი	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო ღირებულება(ლარი)
1	ქს. ქაღალდი	30197630	21 ყუთი	7,3	36,5
2	ფერადი სტიკერი	30190000	5 კოლოფი	5	25
3	ჩასანიშნი ქაღალდი	30196200	5 კოლოფი	2.5	12,50
4	ფაილი	22852100	5 ცალი	5,2	26
5	საწერკალამი	39292400	20ცალი	0.5	10
6	დიდი სკოჩი	44424200	6ცალი	5	20
7	კორექტორი	30192160	5ცალი	2	10
8	სტეპლერის ტყვია	30124400	10 კოლოფი	0.5	5
9	სასტვენი	37300000	1 ცალია	5	5
				სულ ჯამი : 150	

„შემსყიდველი“

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

სპორტის განვითარების ცენტრის

დირექტორი /დ.კვაშილავა/

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „პილოტი 2014“-ს

დირექტორი:

/ნ.ჩემინავა/